



„ჩრდილოეთ სირიის ფედერაცია“, პოლიტიკური ცვლილებები რეგიონში და შესაძლო გამოწვევები საქართველოსთვის

მეგი ბენია

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
კომენტარი / 2016 წლის აპრილი

შესავალი

საქართველო მუდმივად დგას სხვადასხვა გამოწვევების წინაშე, როგორც შიდაპოლიტიკურ ასევე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, თუმცა ისინი ძირითად შემთხვევებში დაკავშირებულია ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიებთან ან ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან. შედეგად, ქართველი მკვლევარები, პოლიტიკოსები და ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანები ძირითად ფოკუსს აკეთებენ ზემოთ აღნიშნულ მიმართულებებზე და ხშირად ავიწყდებათ, რომ საქართველო მნიშვნელოვანი რეგიონის, ახლო აღმოსავლეთის მეზობლად მდებარეობს და იქ მიმდინარე მოვლენები პირდაპირ თუ ირიბ კავშირშია ჩვენს სახელმწიფოსთან. ამას ადასტურებს ქართველი მეზობლების ყოფნა დაემის¹ რიგებში. აქედან გამომდინარე, დღესსირიაში მიმდინარე მოვლენები, კერძოდ კი ქურთების მიერ ჩრდილოეთ სირიის ფედერაციის გამოცხადება, შესაძლოა უშუალო გავლენას ახდენდეს საქართველოზე, ვინაიდან მასში პირდაპირ ჩართულია ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორი: თურქეთი და რუსეთი. შესაბამისად, საკითხი იმაზე მეტად აქტუალურია საქართველოსთვის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

* მეგი ბენია - პრალის ჩარლზის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

¹ ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო, ან დაემი - სუნიტ ჯიჰადისტთა ტერორისტული ორგანიზაცია ერაყსა და სირიაში. აკონტროლებს ერაყის, სირიისა, ლიბანის ნაწილს, ასევე მცირე ტერიტორიებს ლიბიაში, ნიგერიაში, ავღანეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში

რას გულისხმობს „ჩრდილოეთ სირიის ფედერაცია“ ?

სირიელმა ქურთებმა, კერძოდ კი ქურთული დემოკრატიული ერთობის პარტიამ (PYD) გამოაცხადა ე.წ. „ჩრდილოეთ სირიის ფედერაციის“ (იხ. დანართი №1) ჩამოყალიბების შესახებ, რომელმაც უნდა გააერთიანოს სამი უპირატესად ქურთების მიერ დასახლებული კანტონი (ჯაზირა, ქობანი და აფრინი ანუ ჯამში იგივე როჟავა) ერთ პოლიტიკურ ერთობაში. ისინი მიზნად ისახავენ გააერთიანონ ყველა ის ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ცხოვრობს ამ ტერიტორიებზე, რისი დასტურაც არის „როჟავისა და ჩრდილოეთ სირიის გააერთიანებელი – დემოკრატიული სისტემის“ შესახებ დოკუმენტის ტექსტის მიღება 200 დელეგატის მიერ, მათ შორის ეთნიკურად არაბი, ქურთი, სომეხი, თურქმენი, ჩეჩენი და სირიელი დელეგატების მიერ. აღსანიშნავია ის, რომ ამ ფედერაციის საზღვრების შესახებ საბოლოოდ შეთანხმებული აზრი არ არსებობს (The Middle East Eye, 2016).

რა გავლენას იქონიებს ახალი პოლიტიკური სუბიექტი ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე?

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სირიული ქურთისტანის საკითხის განხილვა რეგიონალურ ტრიონგულში აუცილებლად უნდა მოხდეს თურქეთის პერსპექტივიდან. ერთის მხრივ იმიტომ, რომ ის სერიოზული რეგიონალური მოთამაშეა, მეორეს მხრივ ის არის ერთ-ერთი იმ ოთხ სახელმწიფოთა შორის რეგიონში, რომელსაც აქვს ქურთული საკითხის პრობლემა და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მწვავედ და ბოლოს, ტერიტორია, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ უშუალოდ ესაზღვრება მას.

მოკლედ რომ ვთქვათ, თურქეთი ჩრდილოეთ სირიის ფედერაციას მხარს არ დაუჭერს, იმიტომ რომ:

1. PYD წარმოადგენს PKK²-ს ფრთას სირიაში, რაზეც აქცენტი არაერთხელ გაუკეთებიათ თურქ ლიდერებს. მაგალითად, ჟურნალისტებთან გამართულ პრეს-კონფერენციაზე თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა (Hurriyet Daily News 2014):

„ამ ეტაპზე, ჩვენთვის PYD და PKK ერთი და იგივეა და მათ შორის განსხვავება არ არსებობს. ის ასევე წარმოადგენს ტერორისტულ ორგანიზაციას.“³

ბუნებრივია, ეს არ არის მხოლოდ ლიდერების ინდივიდუალური რიტორიკა, რომელიც გამოყენებულია იმისათვის, რათა გამართლებულ იქნას მათი პოლიტიკა. PYD მართლაც ჩამოყალიბდა PKK-ს ბაზისზე სირიაში. გამომდინარე იქიდან, რომ აბდულა ოჯალანი⁴ დიდი ხნის განამელობაში აქტიურად ცხოვრობდა სირიაში, მას ისევე სჭირდებოდა აქ დასაყრდენი საკუთარი დაკავების შემდეგ და პარტიის წევრებმა ჩამოაყალიბეს PYD 2003 წელს სირიაში. თავდაპირველად ისინი მიმართავდნენ მიწისქვეშა საქმიანობას სირიის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ხოლო გამოჩნდნენ ოფიციალურად ასპარეზზე 2011 წელს, როდესაც შეუერთდნენ ერთიან ქურთულ პატრიოტულ მოძრაობას სირიის სამოქალაქო ომის დროს (Carnegie Middle-East Center 2012).

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ PYD მის მიერ გაცხადებულ საგარეო პოლიტიკურ ხედვაში მკაფიოდ ანტითურქულ და პრო PKK პოზიციას გამოხატავს (Carnegie Middle-East Center 2012):

- ღია წინააღმდეგობა თურქეთს, იმის გამო რომ მათ დაკავებული ყავთ PKK-ს ლიდერი აბდულა ოჯალანი და არ იცავენ ქურთების უფლებებს.

- დაპირისპირება ქურთების რეგიონალურ ლიდერ მასუდ ბარზანისთან⁵, რომელიც ღია მოლაპარაკებებზე მიდის თურქეთთან PKK-ს ფაქტორი უგულებელყოფით⁶.

² ქურთისტანის მუშათა პარტია - ტერორისტული ორგანიზაცია აღიარებული თურქეთს, ნატოსა და ევროკავშირის მიერ. ჩამოყალიბდა 1978 წელს და 80-იანი წლებიდან აქტიურად ებრძოდა თურქეთის სახელმწიფოს.

³ „At the moment, the PYD is equal with the PKK for us. It is also a terrorist organization“

⁴ PKK-ს ლიდერი

⁵ ერაცის ქურთისტანის პრეზიდენტი და ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ლიდერი.

⁶ ამას ხაზს უსვამენ იმიტომ, რომ ძირითადად ქურთები მიიჩნევენ, რომ PKK არის ერთადერთი მეთაური ქურთული ნაციონალიზმის.

2. ჩრდილოეთ სირია ანუ იგივე როჟავა ეს არის ისტორიულად დასავლეთ ქურთისტანი (Iddon 2015) და ის წარმოადგენს ქურთების კუთვნილი მიწებიდან ერთ-ერთს⁷, რომლებზეც ქურთებს აქვთ ისტორიული პრეტენზიები, განსაკუთრებით კი PKK-ს, რომელიც ერთიანი ქურთისტანის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. ამიტომ, ნებისმიერი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება სავსებით უსიამოვნო ფაქტია ოფიციალური ანკარისთვის. თავად პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ისინი არ მიიღებენ ავტონომიას ჩრდილოეთ სირიაში (Al Arabiya News 2015):

„შეუძლებელია ჩვენ მივიღოთ ეს. მსგავსი წარმონაქმნები იქნება საფუძველი სერიოზული პრობლემებისთვის მომავალში.“⁸

გამომდინარე იქიდან, რომ ჩრდილოეთ სირიის ფედერაცია უშუალოდ ესაზღვრება ქურთებით დასახლებულ რაიონებს თურქეთში, ოფიციალური ანკარა აღიქვამს მას როგორც პრეცედენტს თურქული ქურთისტანისთვის. სახელმწიფო, რომელიც ათწლეულებია აშენებს უნიტარულ და მონოეთნიკურ სახელმწიფოს, ამ ეტაპზე ნამდვილად არ არის მზად საკუთარ ტერიტორიაზე რაიმე სახის პოლიტიკური ერთეულების შექმნისთვის.

ამასთანავე, საშიშროებას იწვევს ის ფაქტი, რომ ეს ერთეული არის თვითაღიარებული და არა რაიმე პოლიტიკის შედეგი, უფრო კონკრეტულად კი სამართლებრივი და დემოკრატიული პროცესის შედეგი, რომლის კონტროლიც შეიძლება. ანკარას ეშინია, რომ მსგავსი შეიძლება მოხდეს მისავე ტერიტორიაზე. მითუმეტეს ძალა, რომელმაც თვითაღიარებული ფედერაცია შექმნა სირიაში, პირდაპირ კავშირშია თურქეთის №1 ტერორისტულ ორგანიზაციასთან, რომელსაც თავად აქვს ტერიტორიულ ცვლილებებთან დაკავშირებული მოთხოვნები.

ამას გარდა, სირიის ფედერალიზაციას ეწინააღმდეგება მასუდ ბარზანიც, ერაყელი ქურთების ლიდერი, რისი მიზმიც არის ერთი მხრივ მათი დაპირსპირება PYD-სთან და მეორეს მხრივ თანამშრომლობა ოფიციალურ ანკარასთან. (Wilgenburg, 2016)

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოეთ სირიის ფედერაციის ჩამოყალიბება საწინდარი იქნება უფრო მეტი ესკალაციისა და დაძაბულობისა რეგიონში. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, თურქეთი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდება მის საზღვრებთან ეთნიკურ მოტივზე დაფუძნებული პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებას და განსაკუთრებით ისეთი ძალის მიერ, რომელსაც ის ათწლეულების განმავლობაში ებრძოდა და აღიქვამს საფრთხედ მისი ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრიობისთვის. ეს ნიშნავს იმას, რომ ოფიციალურ ანკარას აქვს ორი გზა: 1. წავიდეს ვა-ბანკზე და ბოლომდე იბრძოლოს ყველა შესაძლო გზით, მათ შორის სამხედროთი, რისი შესაძლებლობაც მას აქვს და 2. არაფერი მოიმოქმედოს, რაც თავის მხრივ არ ნიშნავს იმას, რომ თურქეთის ქურთები არ გამოვლენ პოლიტიკური მოთხოვნებით საკუთარ ტერიტორიაზე შექმნიან სირიის მსგავსი თვითმმართველი ერთეული. პრობლემა იმაშია, რომ ორივე შემთხვევაში, ჩვენ ვლტვობთ ქაოსს რეგიონში და დასუსტებულ თურქეთს, რაც თავის მხრივ გამოიწვევს გაურკვევლობასა და არაპროგნოზირებადობას, რაც შეუძლებელია ჩავთვალოთ დადებით ფაქტორად რეგიონში არსებული პრობლემებისთვის.

რა გავლენას იქონიებს რეგიონში განვითარებული მოვლენები საქართველოზე?

თავდაპირველად უნდა დავიწყოთ იმით, რომ ვერსია იმის შესახებ რომ საქართველოში მცხოვრები ქურთები შესაძლოა იქნენ მოწყვლადი ამ საკითხების მიმართ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ ეს ქურთებს ეხებათ, არის მცდარი ხედვა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მათ არ ჰყავთ დიასპორა საქართველოში, არ ცხოვრობენ კომპაქტურად და მათ არ აქვთ რაიმე პოლიტიკური წარმომადგენლობა, რომელმაც აზრის გამოხატვის დონეზეც კი შეიძლება წარმოაჩინოს ამ ეთნიკური ჯგუფის პოზიცია.

⁷ სხვა ნაწილებია: ჩრდილოეთ ქურთისტანი (სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში), სამხრეთ ქურთისტანი (ჩრდილოეთ ერაყში) და აღმოსავლეთ ქურთისტანი (დასავლეთ ირანში)

⁸ “It is not possible for us to accept this. Such formations will lead to grave problems in the future.”

უფრო საგულისხმოა ამ საკითხის განხილვა საქართველოს საგარეო ურთიერთობების ტრილში. თუ ზემოთ მოყვანილ სცენარს გავითვალისწინებთ, საქართველო ამ პოლიტიკური ცვლილების შედეგად, მეზობლად ღებულობს სუსტ სახელმწიფოს, რაც ოფიციალური თბილისისთვის ნამდვილად არ უნდა იყოს სახარბიელო. თურქეთი არის ქვეყნის ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი და ერთადერთი ნატოს წევრი სახელმწიფო საქართველოს მეზობლად. ეს ფაქტორი თავის მხრივ მნიშვნელოვანი იყო ყოველთვის ოფიციალური თბილისისთვის, რომლისთვისაც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ყოველივე ამის გარანტი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ძლიერი და ერთიანი თურქეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური კლიმატი რეგიონში იცვლება, რაც თავისთავად იქონიებს გავლენას საქართველოზე. საუბარი არ არის იმაზე, რომ ოფიციალური თბილისი გადახედავს მის ევროატლანტიკურ კურსს, მაგრამ ფაქტია რომ მას მოუწევს ბევრი რამის აწონ-დაწონვა და სხვა სახის მოქმედებებზე გადასვლა.

ამასთანავე, აუცილებლად უნდა გავუსვავთ ხაზი კრემლის დაინტერესებას ამ თემისადმი. ოფიციალურ მოსკოვს სურს იყოს ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე ამ საკითხში, შეიძლება ითქვას მას უნდა რეგიონალურ საკითხებში ერთ-ერთი ლიდერის როლი შეასრულოს. ეს კი, თავის მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი ფენომენია რუსულ საგარეო პოლიტიკაში, ვინაიდან მანამდე რთულია გავისხენოთ მაგალითი, როდესაც კრემლი ასე აქტიურად იყო ჩართული ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი მხარს არ უჭერს PYD-ის მიერ გამოცხადებულ ფედერაციას, მას აქვს სურვილი სირიაში შეიქმნას 3 ფედერაციული სუბიექტი (Duran, 2016). ყოველივე ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მთავარი დაპირისპირება ამ საკითხის გარშემო იქნება რუსეთსა და თურქეთს შორის, რაც თავისთავად იქონიებს გავლენას საქართველოზე და შესაძლოა დიღემის წინაშე დააყენოს ქვეყნის ხელისუფლება.

რა უნდა გააკეთოს საქართველოს ხელისუფლებამ შემხილ სიტუაციაში?


მოცემულ ვითარებაში, ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება მოკლევადიან პერსპექტივაში იქნება საქართველოს ხელისუფლებამ შეინარჩუნოს სტაბილური ურთიერთობები თურქეთთან, არ

გადახედოს არსებულ კურსს დასავლეთთან და რუსეთთან მიმართებაში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჩვენ განვიხილავთ შემთხვევას, როდესაც ორი რეგიონალური დონის აქტორი, რომელთა გეოპოლიტიკური შეხების წერტილი არის კავკასია, მათ შორის საქართველო და რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის სახელმწიფოებს ოფიციალური თბილისის პოზიციიდან, შესაძლოა დაუპირისპირდეს ერთმანეთს, საქართველოს ხელისუფლებას მართებს ყურადღების გამახვილება ნებისმიერი მოვლენისადმი, განსაკუთრებით სიტუაციის ესკალაციამდე. გრძელვადიან პერსპექტივაში კი, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მოვლენების განვითარების ინტენსივობასა და ხასიათზეა დამოკიდებული, აუცილებელია საქართველოს მთავარობამ ერთის მხრივ დაიჭიროს ის პოზიცია, რომელიც ეჭვქვეშ არ დააყენებს მის ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და მეორეს მხრივ შეიმუშავოს, განავითაროს და დანერგოს ეფექტიანი უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც ფოკუსირებული იქნება არა მხოლოდ ჩრდილოეთიდან მომავალ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, არამედ სხვა მიმართულებებზე, მათ შორის ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე ფართო სპექტრში. ეს უკანასკნელი მეტად საყურადღებოა, ვინაიდან დღეს არსებული მდგომარეობით, ქვეყნის ოფიციალურ სტრუქტურებში არ არსებობს კონკრეტული ხედვა იმ შესაძლო საფრთხეებზე, რომელთა წინაშეც დგას სახელმწიფო, არ ხდება ფართო სამეზობლოში მიმდინარე მოვლენების სათანადო ანალიზი და კონკრეტული პოლიტიკის შემუშავება, რაც ძირითადად გამოწვეული პრიორიტეტების არდასახვით. აუცილებელია საქართველოს ხელისუფლებამ იმუშაოს ამ მიმართულებით, რათა ქვეყანა მეტად მომზადებული შეხვდეს მის წინაშე არსებულ მწვავე და სერიოზულ უსაფრთხოების გამოწვევებს.

დასკვნა

ერთი შეხედვით, სირიელი ქურთების მიერ თვითღიარებული ფედერაციის ჩამოყალიბება შესაძლოა პირდაპირ გავლენას არ ახდენს საქართველოზე და მის უსაფრთხოებაზე და ეს მოსაზრება საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ოფიციალურ თუ არასამთავრობო წრეებში ქვეყნის მასშტაბით. ძირითად შემთხვევებში, ამ ტენდენციებს განსაზღვრავს ისტორიული გამოცდილებაც, რომლის მიხედვითაც საქართველო არ განიხილავდა საკუთარ თავს ფართო სამეზობლოსთან მიმართებაში და განსაკუთრებით კი ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ კონტექსტში. ამ მხრივ სიტუაცია არ შეცვლილა დღესაც. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოში და განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენების დინამიკა ცხადყოფს, რომ დროა შესაბამისმა სახელმწიფო სტრუქტურებმა იმუშავონ ამ რეგიონისადმი შესაბამისი პრიორიტეტების დასახვამზე. უფრო კონკრეტულად კი საუბარია იმაზე, რომ უნდა დაეთმოს სათანადო ყურადღება სხვადასხვა რეგიონალური უსაფრთხოების ტენდენციებს, მათ შორის ისეთს, როგორიცაა ჩრდილოეთ სირიის ფედერაციის გამოცხადება, რათა საქართველო მოუმზადებელი არ შეხვდეს რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და მხოლოდ რეაგირების რეჟიმში არ აწარმოოს საკუთარი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. სწორედ ასეთი წინასწარგანსაზღვრული და გონივრული პოლიტიკის გატარებით შეიძლება საბოლოო ჯამში ქვეყნის სტაბილურობისა და დაცულობის უზრუნველყოფა რაც ასე სჭირდება დღევანდელ საქართველოს.

დანართი



ბიბლიოგრაფია:

- Al Arabiya News. 2015. Turkey's Erdogan says no to Syrian Kurdistan, 27 January. <http://english.alarabiya.net/en/News/middle-east/2015/01/27/Turkey-s-Erdogan-says-no-to-Syrian-Kurdistan.html> (ნანახია 30.03.2016)
- Allison, Roy. 2013. Russia and Syria: Explaining Alignment with a Regime in Crisis. *International Affairs*, Vol. 89 Issue 4, p795-823.
- Ananicz, Szymon. 2015. Alone in Virtue: The "New Turkish" Ideology in Turkey's Foreign Policy. *Centre for Eastern Studies* April
- Barkey, Henri J. and Graham E. Fuller. 1998. *Turkey's Kurdish Question*. Rowman and Littlefield Publishers.
- Carnegie Middle-East Center. 2012. The Kurdish Democratic Union Party. <http://carnegie-mec.org/publications/?fa=48526&reloadFlag=1> (ნანახია 30.03.2016)
- Dawisha, Karen. 1982. The U.S.S.R. in the Middle East: Superpower in Eclipse?. *Foreign Affairs*. Vol. 61 Issue 2, p438-452.
- Hurriyet Daily News. 2014. President Erdoğan says PYD 'no different than PKK' for Turkey, 19 October. <http://www.hurriyetdailynews.com/president-erdogan-says-pyd-no-different-than-pkk-for-turkey.aspx?page-ID=238&nID=73172&NewsCatID=338> (ნანახია 30.03.2016)
- Duran, Burhanettin. 2016. The question of federalism in Syria. *The Daily Sabah*, 22 March. <http://www.daily-sabah.com/columns/duran-burhanettin/2016/03/22/the-question-of-federalism-in-syria> (ნანახია 30.03.2016)
- Iddon, Paul. 2015. Turkey and Rojava. *The News Hub*, 28 June. <https://www.the-newshub.com/politics/turkey-and-rojava> (ნანახია 30.03.2016)
- The Middle East Eye. 2016. Syrian Kurds declare new federation in bid for recognition, 17 March. <http://www.middleeasteye.net/news/kurdish-pyd-declares-federalism-northern-syria-1311505605> (ნანახია 30.03.2016)
- Souleiman, Delil. 2016. Kurds declare federal region in north Syria. *Your Middle East*, 18 March http://www.yourmiddleeast.com/news/kurds-declare-federal-region-in-north-syria_39705 (ნანახია 04.04.2016)
- Wilgenbrg, Wladimir van. 2016. 'This is a new Syria, not a new Kurdistan'. *The New Cold War: Ukraine and Beyond*, 17 March. <https://newcoldwar.org/syrian-kurds-form-northern-syria-federation-say-aim-not-independent-kurdistan-blueprint-future-syria/> (ნანახია 30.03.2016)

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური
ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს
საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების
გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას
პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge